გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 71

2020 წლის 12 ივნისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან (ს/კ 66.45.18.159) 50 კვ.მ–ის აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 11 მაისს №7474 განცხადებით მომართა ფარვიზ ხვადაგაძემ (პ/ნ 59001005049). აღნიშნული განცხადებით მოთხოვნილია იჯარის ფორმით გადაეცეს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ს/კ 66.45.18.159 (საერთო ფართობით 6 884 კვ.მ.–დან) 50 კვ.მ. რომელიც მდებარეობს გორში, სტალინის სახლ–მუზეუმის მიმდებარედ.

ზემოთ მითითებული ტერიტორია წარმოადგენს ქალაქის ცენტრს და ზაფხულის სეზონზე გამოირჩევა ხალხმრავლობით, სადაც თავს იყრიან განსაკუთრებით ქალაქში დარჩენილი ბავშვები. აღნიშნულ ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს საბავშვო ატრაქციონები და გასართობი კუთხეები, რაც მოსახლეობის ინტერესებს შეესაბამება.

აუდიტორული კომპანიის შპს „აუდიტ-ეკონომიქსის" მიერ 2020 წლის 20 მაისს წარმოდგენილი გრ № 28 „უძრავი ქონების შეფასების ანგარიშით", მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.159 საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება განისაზღვრა 1 996 360 (ერთი მილიონ ცხრაასოთხმოცდათექვსმეტი ათას სამას სამოცი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის

ნაკვეთის ს/კ 66.45.18.159 საერთო ფართობის 6 884 კვ.მ.–დან 50 კვ.მ. ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ელექტრონული აუქციონის ფორმით. რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად განისაზღვროს იჯარის ფორმით გადასაცემი ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (გორში, სტალინის სახლ–მუზეუმის მიმდებარედ) მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.18.159 საერთო ფართობის 6 884 კვ.მ.–დან 50 კვ.მ. გაცემული იქნეს. სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, 3 (სამი) თვის ვადით, საბავშვო ატრაქციონებისა და ბავშვთა გასართობი კუთხეების მოსაწყობად.
2. მიწის ნაკვეთიდან ს/კ 66.45.18.159 საერთო ფართობის 6 884 კვ.მ.–დან 50 კვ.მ-ის საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 14 500 (თოთხმეტიათას ხუთასი) ლარით.
3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1 440 (ერთი ათას ოთხასორმოცი) ლარის ოდენობით.
4. აუქციონის პირობებად განისაზღვროს შემდეგი: ა) საბავშვო ატრაქციონებმა და გასართობმა კუთხეებმა ფუნქციონირება დაიწყოს 15 ივლისიდან; ბ) მუშაობის პროცესში გათვალისწინებული იქნეს საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები.
5. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე